ო ქ მ ი N 5

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომისა.

ქ. ხობი.

2023 წლის 27 ივნისი.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ვლადიმერ ქანთარია

2.ფრიდონ კუკავა

3.ბექა ხარბედია

4.აკაკი ხურცილავა

5.დიტო ხასია

6.ბადრი რიჟამაძე

7.ჯანსუღ ჯიშკარიანი

8.მოგელი ხუხია

9.გურიელ ქარდავა

10.მალხას იოსავა

სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. ქანთარია - კომისიის თავმჯდომარე.

დღის წესრიგი:

1.ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2023 წლის 26 ივნისის N50 – 502317734 წერილის განხილვა:

-„ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;

= „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

+ + +

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს:

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 10, წინააღმდეგი - არც ერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვა:

1.ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2023 წლის 26 ივნისის N 50-502317734 წერილის განხილვა:

="ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ".

მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მერიას შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიიდან" უსასყიდლოდ ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე გადმოეცა ორი ერთეული სატვირთო ავტომანქანა (სატვირთო ბორტიანი „პიკაპი", სახელმწიფო N LL407 PL და 13 მ/3 მოცულობის ნარჩენების სატვირთო ავტომანქანა სახელმწიფო N XP – 560 – PP.

მერია შემოდის წინადადებით აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებები პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) არსებობის ვადით გადაეცეს შპს „ხობის დასუფთავება და განათებას, რაზედაც წარმოდგენილია განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ".

კომისიის წევრების მხრიდან საწინააღმდეგო აზრი არ გამოთქმულა.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას და შემდეგ გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას:

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 10, წინააღმდეგი არც ერთი.

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

2."ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე:

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ".

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის განმარტებითი ბარათი სადაც აღნიშნულია, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ირიცხება თორსა დღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ადმინისტრაციული შენობა რომელიც არის დაუტვირთავი და არ არის კეთილმოწყობილი.

2023 წელს საზოგადოებრივი ორგანიზაცია განათლებისა და განვითარების ცენტრი „თოლისკურ"- მა მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა საგრანტო კონკურსში, რომელიც ეხებოდა თორსა - დღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მერიის ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციულ შენობაში არსებული 90 კვ. მეტრი ფართის კეთილმოწყობას და შემდგომში უფასოდ ინგლისური ენის შემსწავლელი კურსების დაფუძნებას 25 მოსწავლისათვის.

სამსახური შემოდის წინადადებით და თხოვნით რომ, აღნიშნული ფართი პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით, ორი წლის ვადით გადაეცეს განათლებისა და განვითარების ცენტრ „თოლისკურს" უფასოდ ინგლისური ენის სწავლებისთვის.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტით წარმოდგენილი ქონება არის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონება, რომლის გასხვისებასაც სჭირდება საკრებულოს სრული შემადგენლობის 2/3 თანხმობა, გამომდინარე აქედან მერია არ იყო უფლებამოსილი ერთპიროვნულად მიეცა თანხმობა დაინტერესებული პირისთვის. მიუხედავად ამისა კომისიის მიერ საკითხი საბოლოო გადაწყვეტილებისთვის უნდა წარედგინოს როგორც საკრებულოს ბიუროს, ასევე საკრებულოს სხდომას.

კომისიის წევრების მხრიდან საწინააღმდეგო აზრი არ გამოთქმულა

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას და შემდეგ გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას:

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 10 წინააღმდეგი არც ერთი.

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს, სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

კომისიის თავმჯდომარე: /ვ. ქანთარია/